

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ისტორიის ინსტიტუტი

5.512

3.

ნ. რეზიაშვილი



ქართული
ენობრივი

მჭედლოვა რაჭაში

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაკრებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო თეზისები



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1941



ქართული
გეგმარების უნივერსიტეტი

დაცვა დანიშნულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდო-
მაზე 1941 წ. 22 სექტემბერს, დღის 1 საათზე (საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის სალექციო დარბაზში, ძერეინსკის ქ. № 8).

ოფიციალური მოწვევა:

დოცენტი გ. ჩიტაია,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
დოც. ვ. ბარდაველიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ა. რობაქიძე.

1. რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მკედლობა ქართველი ხალხის ძველი მელითონეობის ერთ-ერთ საყურადღებო განტოტებას წარმოადგენს და მნიშვნელოვან კულტურულ მონაბოვართ შეიცავს. აქ მკედლობა წარმოდგენილია არა მხოლოდ ნაირი სახისა და დანიშნულების „ხელადის“ ჭედვით, არამედ „საქედური“ რკინის დამზადებით და რკინის მადნის მოპოვება-დამუშავებითაც.

2. უახლოეს წარსულამდე მკედლობა რაქაში საკუთარი ნედლეულის ბაზას ემყარებოდა. ნედლეულის წყარო წედისის რკინის საბადოები იყო: „ქვაწითელა“, „ხეხმელა“ და „სხამერი“. ამითგან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ „ქვაწითელა“. ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით რკინის მადნეული ხონჭიორისა და სადმელის მთებშიაც მოიპოვებოდა და ძველად მათი დამუშავებაც წარმოებდა.

3. ადგილობრივი რკინის დამუშავების მთავარი უბანი რაქის „სარკინეთი“ იყო. სარკინეთად უწინ მთელი ზემო-რაქა იწოდებოდა. შემდგომ, უფრო მოგვიანო ხანაში ამ სახელს მდ. ჯეჯორისა და ქვედრულას ხეობები-და ატარებდა. სარკინეთში დამზადებულ საქებურ რკინას „წედური“ რკინა ეწოდებოდა, ხოლო იქაურ მცხოვრებთ „რკინის კაცები“ ერქვათ.

4. რკინის წარმოება სარკინეთში ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. რკინის საზიარო დამუშავების მიზნით „შეამხანაგდებოდა“ რამდენიმე „რკინის კაცი“. ამ გაერთიანებას სათავეში ედგა „რკინის მოხელე“. მოზიარენი „მისი კითხული და მიმყოლი იყვნენ“. ამხანაგობას თავისი „დაწყობილება“ ჰქონდა, რომელსაც „წინ ვერავინ წაუვიდოდა“. ამხანაგობას ს.ერთო წარმოებასთან ერთად შრომის ნაყოფის თანაბარი განაწილება ახასიათებდა.

5. სარკინეთის სინამდვილეში რკინის მოხელე რაქველი რამდენიმე სხვადასხვა ჯიშის რკინის მადანს იცნობდა, არჩევდა თითოეული მათგანის ფიზიკურ თვისებებს და რკინად „გამომავლობას“. რკინის მადნეულიდან აქ დამოწმებულ იქნა: „ქვაწითელა“, „შავი

ლითონი“, „დევინახშირა“, „კობიქი“, „აბრამა“, „ვოროგინდა“, „ფაშა“ და „ტუტუნი“. წილური რკინის წარმოება სამ საფეხურს შეიცავდა: 1. მადნეულის მოპოვება, 2. მადნეულის რკინად დამზადება და 3. რკინისაგან „ხელადის“ ჰქვდა.

6. მადნეულის მოპოვება ძირითადად ორი სახის საბადოში შესდგება: 1. საბადოში მადნეულის მიგნება და მისი დამზადება, 2. საბადოდან მადნეულის ამოზიდვა და მისი ადგილზე დამარაგება. მადნის რკინად დამუშავება-კი „სამგზობად“ წარმოებდა. სამუშაოს პირველი წყება მადნის „დარიგებით“ იწყებოდა და მისი „ლუგვი“ რკინად დაწურვით თავდებოდა. მეორე წყება—ლუგვი რკინის ხელახლა გადადნობას წარმოადგენდა, ხოლო მესამე წყება—რკინის „გადუღებას“ შეიცავდა.

7. რკინის დამუშავების ხაზით დამოწმებულ იქნა მადნეულში საგანგებო „სადუღების“ შერთვის წესი. მადნეულის რკინად დაწურვის პროცესის ნაყოფიერად ჩატარებისა და მაღალი ხარისხის რკინის მიღების მიზნით სარკინეთლები რკინის მადანში სხვადასხვა დამხმარე სადულს—„ფაშა“-ს (შავიქვა), „სადულმიწა“-ს და „რკინაწიდა“-ს ურევდნენ. ეს წესი ქართველ ტომებში (ხალიბები და მოსინიკები) ძველად მიღებული რკინის დამზადების წესის ანალოგიური უნდა იყოს. კლასიკური ქვეყნების მწერალთა ცნობებით მოსინიკური და ხალიბური ლითონის ჩინებული თვისებები და თავისებურება იქიდან წარმოსდგებოდა, რომ ხალიბები და მოსინიკები ლითონის დამუშავებაში ერთგვარ ადგილობრივ ცეცხლგამძლე ქვასა და მიწას იყენებდნენ.

8. მადნეულის დაწურვისა და რკინის „დაყენების“ საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა ნახშირი. სარკინეთის ძელითონეობაში გამოყენებული იყო ხის სამგვარი ნახშირი: „მაგარი“, „ზომიერი“ და „რბილი“. თითოეული მათგანი განკუთვნილი იყო რკინის დამზადების გარკვეული ფაზისისათვის. რკინის დამუშავების პირველ ეტაპზე (მადნეულის რკინად დაწურვა) უმთავრესად მაგარი ნახშირი იხმარებოდა, მეორე ეტაპზე (ლუგვი რკინის გადადნობა-გადაშვება)—ზომიერი, ხოლო მესამე ეტაპზე (რკინის გადუღება)—რბილი ნახშირი გამოიყენებოდა. მაგარი ნახშირი ხელს უწყობდა რკინის მადნიდან რკინის გამოყოფას, ზომიერი—რკინიდან არარკინეული მინარევების გამოთიშვას, რბილი—რკინის „ტანმოქნასა“ და „დაყენებას“.

9. მადნეულის დაწურვის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „საწური ქულბაქის“ საბერველს, რომელსაც რიგი თავისებურება ახსიათებს. იგი უზრუნველყოფს ჰაერის ნაკადის უწყვეტად მიწოდებას. საბერველის ეს ტიპი თავისი შინაგანი აღნაგობითა და

მოქმედების პრინციპით მარჯვე ნაზრევსა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენს, ამდენად გაუმჯობესებულ ტექნიკურ წესებსა და დაწინაურებული სახის მეღვინეობას გულისხმობს.

10. ხელადის გაქედვა „ორგზობად“ მიმდინარეობდა. ნამუშაოს პირველი წყება შეიცავდა გასაქედი ნივთის გველთხაჟუ სუქვე დური რკინის მოზომვას, „სადენეს“ ჩამოკვეთას, გახურებას, „რქენას“, „დაგვირებას“ და „გასახვას“. სამუშაოს მეორე წყებაში გასახული რკინის „გაკახმა“, „გამოკვერვა“, „გაწკლიძვა“, „გახოშვრა-გაქლიძვა“, გაღესვა, წრთობა და გაფერვა შედიოდა.

11. ადგილობრივი რკინისაგან უხვად მზადდებოდა მრავალნაირი სახისა და დანიშნულების ხელადი: იარაღი (სამუშაო, სანადირო), ხელჭურჭელი (სახელესნო, საოჯახო, სამგზავრო) და სხვა. თავის მხრით სამუშაო იარაღი ძირითადად იყოფოდა „მუშა რკინად“ და „გამკრელად“. მუშა რკინას განეკუთვნებოდა იარაღები: მიწის სანგრევი, ქვათა სამტრევი, კლდეთა საშლელი, ხეთა საზიდი, წისქვილთ საბრუნნი, ურემთ სასალტი. გამკრელად ითვლებოდა იარაღები: ქვისა და კლდის მკოდი, ხისა და ძვლის მკრელი, ნამჯისა და ბალახის მთიბავი და სხვა.

12. რაჭის მკედლობის ერთ-ერთ მთავარ მომენტს რკინეული ხელადის წრთობა წარმოადგენდა. წრთობის საშუალებით შეიძლებოდა რკინეულის „ზნის ცვლა“ და „მისდაგუნებად“ დაყენება. რაჭის სინამდვილეში დამოწმებულია რკინეული ხელადის წრთობა როგორც წყლის, ისე ჰაერის საშუალებით. წყლით წრთობისას მიღებულია რკინეულის სამ ფერზე დაყენება: ლურჯად—„ლურჯი წყალი“, თეთრად—„თეთრი წყალი“ და ოქროსფერად—„ოქროსფერი წყალი“. თითოეული „წყალი“ რკინეულის სიფიცების ხარისხის მაჩვენებელია. თუ რკინა სადულისა და ნახშირის გავლენით „ტანის სიმტკიცეს“ და სიჯიქეს იღებდა, წრთობის გზით „ფხა-ალმასს“ ანუ „კბილს“ იძენდა.

13. რაჭული ხელადიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ქართული ცული“ და „ქართული ნაჯახი“. მათ ახასიათებთ „შერივისი“ ტანადობა, „სანდომიანი“ მოყვანილობა და, რაც მთავარია, თავის საქნართან „შეთაბუნება“. ცულისა და ნაჯახის გაქედვა ორ საფეხურს შეიცავს: პირველი გულისხმობს სანაჯახე „დედნის“ დამზადებას, ხოლო მეორე დედნის „გაყვანას“, „დასარჩულებას“ და „გასარულებას“.

14. მთელ რაჭას საკუთარი რკინა ამარაგებდა. რაჭული „რკინა-კედლილი“ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა (ქართლ-კახეთსა,

ლენხუმსა და იმერეთში) და ჩრდილო კავკასიაში („მალყარს“ „ბასიანთსა“ და დიგორში) გაჰქონდათ.

15. მელითონეობის ძველი კულტურის კვალი დასტოვბია რაჰის არა მხოლოდ მატერიალურ წარმოებას, იგი ხალხს ცნობიერებაშიც ღრმად აღბეჭდილა. რაჰის ეთნოგრაფიულ სინამდფელეში დაცულია რკინის კულტის ნაირსახოვანი ვადმონაშთები. ხალხის ძველი რწმენის თანახმად, რკინა და რკინეული ბოროტ ძალთავან ვარდუვალა, რკინა მაგიურ ძალას შეიცავს, მას აპოთროპეული დანიშნულებით იყენებდნენ.

სამკედლო წმინდა ადგილად ყოფილა მიჩნეული, „საქედური“ „გრდემლი, კვერი და მარწუხი „ნაწილიან“ ნივთებად, ხოლო, მკედელი ზოგჯერ ზეკაცური ბუნების მქონე არსებად.

„სარკინეთის“ მკედლობას ჰყავდა თავისი მფარველი ღვთაება და არსებობდა მისდამი ვანკუთვნილი დღე, როდესაც სამკედლოში საგანგებო რიტუალი სრულდებოდა.

მკედლობის კულტს უნდა ვანეკუთვნოს აგრეთვე რაჰული თქმულება „სირა-მკედელზე“. თქმულების მონაცემების მიხედვით „სირა“ ახლო დგას ვნვ ხელობის გაჰჩენ და მკედლობის მფარველ ღვთაებებთანო (აფხაზთა—„შაშა“, სვანთა—„სოლან“, მეგრელთა—„სოლომი“). „სირა“ ხელობით მკედელია და ბუნებით „გულთმეცარი“. იგი ამირანის მამაა.

16. რაჰის სინამდფილეში რკინის შემუშავების დაწინაურებული წესები, დიფერენცირებული სახისა და ფუნქციის „ხელადის“ კედვა, რკინის მდიდარი კულტი, მელითონეობის დარვისათვის ვანკუთვნილი მდიდარი და მრავალფეროვანი ტერმინები და ამ ტერმინთა ქართული წარმოშობა ძველი ქართული მელითონეობის ვანვითარების მაღალ დონეს მოწმობს და ამასთანავე ახალს, მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მონაცემს წარმოადგენს ქართველთა მელითონეობის ისტორიის შესწავლისათვის.





პასუხისმგებელი რედაქტორი დოც. გ. ჩიტაია

ბელმოწერილია დასაბეჭდად—20/IX—1941 წ.
უე34791 შეკვეთის № 2295 ტირაჟი—100 ზომა—6×10

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5